№ 252 ნოემბერი 30, ოთხშაბათი — 1888 — ნოემბერი 30, ოთხშაბათი № 252

# ივერია

1877—1888 — სახოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1888

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასახეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ორვა კაპეიკი.

## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში)

**ქუთაისში:** ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ქართული თეატრი

პარასკევს, 2 დეკემბერს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება სასცენო-მოქმედო სქმის სასარგებლოდ:

I

უნდა გავიყარნეთ

კომ. 3 მოქმედ. ფრანგულიდგან

II

დივერტისმენტი.

ქ-ნ საფაროვისა და ბ-ნთ აბაშიძისა, ყიფიანისა და აწყურელის მონაწილეობით.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვისა, მელიქოვისა, თამაროვისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, აწყურელი, ყიფიანი, გუნერულიძე, მაქსიმიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი $7^1/_2$ საათზე

ტფილისი, 29 ნოემბერი

ჩვენ წინა წერილში ჩვენი სიხარული გამოვაცხადეთ, რომ სამეურნეო საზოგადოებამ საჭიროდ დაინახა სოფლის მეურნეებთან კავშირის გაბმა და დაახლოვება და ამისათვის ცდასაც შეუდგა. ეს სამეურნეო საზოგადოების მხრით თითქმის პირველი ბიჯია, მიმართული მასზედ, რომ სოფლის სამეურნეო საქმეში თვით სოფლის მეურნენი მონაწილედ გაიხადოს, იმათი გამოცდილება და საქმის ცოდნაც მოიშველიოს. ეხლა ჩვენს მეურნეებზეა დამოკიდებული, რომ ხალისიანად მიეგებნენ ამ ბიჯსა და თავისი გულ-მხურვალეობა და გულ-მოდგინეობა იჩინონ იმისთანა მძიმე საქმეში, რომელიც მარტო მათთავე სარგებლობაზეა მიმართული.

თქმა არ უნდა, რომ ჩვენს ქვეყანას დიდს ვნებასა და ზარალს უქადის ნაცარი და ნამეტნავად მილდიუ. შესაძლოა ერთიცა და მეორეც ისე გაგვიძლიერდეს—ნამეტნავად საშიშარია მილდიუ,—რომ ვენახებზე მთლად ხელი აგვაღებინოს. სიდიდე ზარალისა წარმოუდგენელია და დაუთვალავი. გაცობრიობამ, ჩვენდა სახსნელად, ერთსაც და მეორესაც წამალი უპოვნა, წამალი უებარი, იეფი და ადვილი. რატომ არ უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს და არ დავიხსნათ ამ საშინელ ჭირთაგან ჩვენი ვენახები,— ეს თითქმის ერთად-ერთი დიდი წყარო ჩვენის ცხოვრებისა და ავლა-დიდებისა. აქ გულ-გრილობა დიდი დანაშაულია ჯერ წინაშე ქვეყნისა და მერე საკუთარის თავისა.

აქ გულ-გრილობის სათავე და მიზეზი მარტო უვიცობა და უმეცრება თუ იქნება, თორემ გაგებულმა კაცმა როგორ უნდა დაიზაროს თავის თავის შველა, თავის თავის დახსნა გაღარიბებისაგან. ამიტომაც ვისაც ჰსურს ამ გულ-გრილობის სანაცვლოდ გულ-მხურვალეობა, გულ-მოდგინეობა და ხალისი ხალხისა გამოიწვიოს, ამ მიზეზს უნდა შეეჭიდოს და არ-გაგებულს გააგებინოს საიდამ და როგორ მოევლება იმ ჭირს, რომელიც, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენს ვენახებს გამოაჩნდა.

რითი შეიძლება ეს მოხდეს? ჯერ, რასაკვირველია, კარგის ბროშიურებითა, რომელნიც მდაბიო და ადვილად გასაგების ენით უნდა იყვნენ დაწერილნი და იმაზედ მიმართულნი, რომ რაღაც თეორიებით არ იყვნენ გართულებულნი და მარტო საქმიანი, პირდაპირ საქმეში გამოსაყენი ცნობანი და დარიგებანი ცხადად და გაუძნელებლად დაენახვებოდნენ ყოველს, ვინც-კი შიგ ჩახედვას მოიწადინებს. ამ მხრით შველას გვპირდება თითონ სამეურნეო საზოგადოება: იგი აპირობს ამისთანა წიგნაკების დაბეჭდვას. ეს გზა კარგია ნამეტნავად იქ, საცა წიგნის კითხვა გაძლიერებულია და არა ისეთი იშვიათი ამბავია, როგორც ჩვენში, მაგრამ საკმაო-კი არ არის. ჩვენში ვენახების წამლობისათვის სურვილისა და ხალისის გამოსაწვევად უფრო უებარია ცხოველი სიტყვა, ხშირი აღებ-მიცემობა აზრისა პირდაპირ სიტყვით და არა მარტო წიგნით. ამაში დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიანთ მაზრის მარშლებს, სოფლის მასწავლებლებს და იმ ცოტად თუ ბევრად ნასწავლ ყმაწვილ კაცებს, რომელნიც სოფლად გასულნი არიან და სოფლებში სცხოვრებენ.

ჩვენმა მაზრის მარშლებმა რომ აქ თავი გამოიდვან, მოიწვიონ ვენახის პატრონები—თავადია, აზნაურია, თუ გლეხი—აიღონ, დაიღონ და გამოარკვიონ რა გზით შესაძლოა საერთო ძალით გაემკლავონ ამ ორს საშინელს ჭირს ვენახებისას, რა გზით და რა ზომით თითონ შეუძლიანთ შველა და რა გზით და ზომით საჭიროა მოიშველიონ სამეურნეო საზოგადოება, რომელსაც დიდი სურვილი აქვს ეს შველა გაუწიოს შეძლებისამებრ ყველას, ვინც-კი მიჰმართავს,—ეს ყოველი რომ თავს იდვან მარშლებმა, ნუ თუ ეს საქმის კეთება არ იქნება? ნუ თუ ეს სამსახური არ იქნება ქვეყნის წინაშე!.. ნუ თუ ამისთანა კრებანი, თუ რიგიანი ხელთ-მძღვანელი ეყოლებათ, ვერ შესძლებენ გამოიწვიონ იგი სასურველი თვით-მოქმედება და გულ-მოდგინეობა, რომელიც ასე საჭიროა ამ შემთხვევაში!

არ ვიცით, ჩვენი მარშლები ითავებენ ამ საქმეს თუ არა. ვინ იცის? ამისთანა საჩხირ-კედელო საქმე იქნება ზოგმა არც იკადროს. ხოლო იმათ გარეითად სხვანიც არიან. ჩვენი ქვეყანა ამ მხრით უკაცური არა გვგონია, ყველგან არიან თითო-ოროლა კაცნი, რომელთაც გული სტკი-

# ფელეტონი

## დემეტრეს სახლობა

(მოთხრობა)

### I

### გულზედ თეფში

გარედ ძაღლი არ გაიგდებოდა, ისეთი უკამური დილა იყო; ხან წვიმდა, ხან თოვლს ურევდა; ხან უცნაურად დაჰბერდა ზენა ქარი და ცაზე ღრუბლებს სულ გადმოატრიალებდა და არევ-დარევდა ხოლმე; ტალახითა და ლაფით აივსო ოღრო-ჩოღრო ქუჩები ქალაქისა; დახურულ ბაზარში ისეთი ლიჭყი იდგა, რომ ადამიანი ფეხს ვერ იკიდებდა. დილის ათი საათი იქნებოდა, რომ ორმა მარჯვე ბიჭმა ბაზარ-ბაზარ ჩამოიარეს, ხელში სპილენძის თეფშები ეჭირათ და ფულს აგროვებდნენ; ერთი თეფში თითქმის თავ-შედგმული იყო შავის ფულით; აქა-იქ გამოსჩანდა თეთრი ფულიც. ყველა მედუქნე სიამოვნებით აძლევდა თითო-ოროლა გროშს, წყნარად, მოკრძალებით და მოფარებით სდებდნენ გროშებს, თითქო ამ გვარის საქციელით ქრისტეს მცნების ასრულება უნდათო: „ისე გაეცი მოწყალებაო, რომ მარცხენემან შენმან არ იცოდეს, რას შვრება მარჯვენეო“. დასდებდნენ რა მოწყალებას, ყველა ზედ დაურთავდა ხოლმე:

— ღმერთმა აცხონოს, კარგი, სათნო და უწყინარი კაცი იყოვო.

თეფშოსნებიც ძალიან ირჯებოდნენ; გამვლელსა და გამომვლელს არ ასვენებდნენ.

— თითო-ოროლა გროშს ნუ დაგვიჭერთ, ღმერთი სამაგიეროს გადაგიხდით, საწყალი კაცი გარდაიცვალა და იმისთვის ვაგროვებთ; სამადლობელი საქმეა, ღვთის მადლმა? ეუბნებოდნენ ყველას ფულის მგროვებელნი.

— ვისთვის აგროვებთ, ბიჭო, ვინ მოკვდა? ტუსაღისათვის ხომ არა?— იკითხა ერთმა თავადიშვილმა, რომელსაც ბიჭებმა თეფში წაუშვირეს მოწყალებისათვის.

— საწყალმა ხარაზ დემეტრემ თქვენი ჭირი წაიღო, აი რო ფინახობდა, იმანა! ყოვლად უმოწყალო გახლავთ, წვრილ-შვილი დარჩა და ცოლი.

— ოჰ, ღმერთმა აცხონოს, ალალი და უწყინარი კაცი იყო; მაგისთანა კაცს ღმერთი არ დაჰკარგავს, წარმოსთქვა თავადიშვილმა და მანეთიანი დასდო თეფშზე.

— აი ღმერთმა დაჰკარგოს და ამოაგდოს ყაზარას ოჯახი, როგორც იმან საცოდავი კაცი მოიდნო, უთხრეს თეფშოსნებმა და ქვეით ჩაიარეს.

ამ ფულს აგროვებდნენ დემეტრე ხარაზის დასამარხავად.

—

დემეტრე იყო ძალიან ნაღვლი კაცი. ჯერ ისევ რვა-ცხრა წლისა არ იქნებოდა, რომ ძმებმა გორში ხარაზს მიაბარეს შეგირდად; სახლშიაც ემსახურებოდა და დუქანშიაც ამ დღე კბილით ჯღნს ეწეოდა და ფინახობდა; ორი წელიწადი იყო გორში ალასთან; პატარა დემეტრეს სულ ცეცხლის თვალში აგზავნებდნენ; მუდამ დაგლეჯილ-დაფლეთილი დადიოდა; საცოდავს ვირივით ამუშავებდნენ და ვირივითვე სცემდნენ. მაგრამ თავ-მოყვარეობის ნიშნად ვერიც ტლინკებს გაისვრის ხოლმე: ერთხელ ალამ ჩვეულებრივზედ გარდამეტებით გამათრახა ჩვენი დემეტრე; იმანაც დაჰკრა ფეხი, შემოდგომაზე ხილს ურმებს გაჰყვა და ტფილისის ქალაქში-კი თავი ამოჰყო. ტფილისში დემეტრე ჯერ მოსამსახურობდა; ბოლოს ქალაქის ბიჭებში გაერია და გაკინტოვდა; გაიმართა კარგი ლაზათიანი თაბახი და ქუჩა-ქუჩა დაარბენინებდა სხვა-და-სხვა ხილსა, ყველსა, თევზსა, მწვანილსა. რასაც კვირიდამ კვირამდე იშოვნიდა, კვირა დღეს ძმა ბიჭებ-კინტოებთან შესჭამდა ხოლმე ორთაჭალის ბაღებში. კინტო ბიჭებს ძრიელ უყვარდათ. თუ დემეტრეს იმათთვის არა შურდა-რა, არც-რას ისინი ურებდნენ. ძმა ბიჭისათვის ანთებულ საკირეში გადავარდებოდა. ერთხელ სანაძლეოზედ, როცა გაჩაღებული სმა და ქეიფი ჰქონდათ ვერის ბაღში, ლეინისაგან ტვინი შეუხურდათ და სატიკტიკოდ ენა ახსნათ, ხანჯლის შეილით ნეკი წინსახსარში მოიჭრა და წარბიც არ შეხრია. მოჭრილი ნეკის წვერი სტაქანში ჩააგდო, ზედ კახური დაასხა და სთქვა თურმე: ეს ღმერთმა იმ კაცს გაუმარჯოს, რომელიც ძმა ბიჭისათვის შემწვარ ხორცს-კი არ შესჭამს, ანწუხზედ აეგებაო! ძალიან ჯიგრიანი ბიჭი იყო. მაინც ძმა ბიჭისათვის სამუდამოდ გამოეთხოვა ქალაქს; იგი იძულებული იყო თავის მარჩენლის თაბახისათვისაც და ძმა ბიჭისათვისაც თავი დაენებებინა. დემეტრეს ყველაზედ ძიელ უყვარდა ერთი კინტო, რომელიც ქალაქის „ბუნტში“ რეულიყო და პოლიცია დაეძებდა. ერთხელ, როგორც იყო, ვერის ბაღში მიიკვლიეს კინტოს კვალი და ეცნენ. დემეტრე მუშტის კრივში გათქმული იყო. ამხანაგები იმასს მუშტს ფილ თაქეას ეძახდნენ; რამდენი დესეტნიკიც-კი მისწვდა კინტო ბიჭს დასაჭერად, იმდენს დემეტრე ძირს დასცემდა; სულ ზღვესავით დააწყო ყველანი ერთს წამს; მოხდა ალიაქოთი; კინტოებმა ბებუთები იძრეს; წესის დამცველთ დამბაჩები და შეიბნენ. შემჩნეულმა კინტომ თავს უშველა; დემეტრეს მარცხენა ხელი შიგ ჩონჩხში გაუხვრიტეს ტყვიით, მაგრამ მაინც ხელთ ვერც ის იგდეს. ის იყო და ისა, წამოვიდა დემეტრე სოფელში.

ენახოთ, ერთს დილას დემეტრე ქალაქურის კინტოურის ტანისამოსით კოხტად მორთულ-მოკაზმული გაჩნდა თავისს სოფელში. დემეტრე ძალიან შედგმული ბიჭი იყო; კინტოურს ტანისამოსში ლერწამივით ირხეოდა; სახეც ძალიან სანდომიანი ჰქონდა. სოფლის გოგოები გიჟდებოდნენ დემეტრესათვის; იმისი ლამაზად დაბზენილის წვერ-ულვაშის ცქერით ვერა ძღებოდნენ, მერე მაშინ, როცა დღესასწაულის დღეში გამართავდა ართურმას და ჩალიჩს, გაიკეცავდა უკან ქამარში ჩოხის კალთებს და მშვენიერით დახტოდა, იმის ჭვრეტით ვერა ძღებოდნენ; ბერიკაცებიც-კი წამოდგებოდნენ, ამათაც აუფანცქალდებოდათ დემეტრეს სიმარდის ცქერით გული და სიამოვნებით უცქეროდნენ ხოლმე. მაგრამ დემეტრეს სოფლად ყოფნას დიდი ბოლო არა ჰქონდა. დიდხანს არ შერჩა კოხტა ტანისამოსი; მალე შემოაცვდა და ყურები ჩამოჰყარა. ნეტარება კაცს რომ სამუდამოდ შერჩეს, სიკვდილს ვილა ინაღვლისო, ნათქვამია. დემეტრე სოფლის მუშაობას სრულიად გადაჩვეული იყო. სოფელში მუდამ ნაბატონრებთან იყო; ემსახურებოდა იმათ და აქეთ-იქით დასდევდა; უქმად ლაყუნიც მოსწყინდა; ბოლოს შეირთო მეზობლის ლამაზი გოგო. მაშინ დემეტრე კარგა დაეაქაცებული იყო.

— ჩვენს სოფელს დემეტრემ თვალი გამოსთხარა ნენეს შერთვითაო, ამბობდნენ სოფლელები. მაგისთანა მადლიანი და პირ-სავსე გოგონა ამ ახლო-მახლო სოფლებში არ მოიძებნებაო.

— თვითონაც კაი მოხდენილი ბიჭია, ტყული არ არის,— ამბობდნენ ზოგნი.

— არის, მართალია, მაგრამ სოფლის მუშაობა აღარ ეხერხება; სოფლის ყამი და ყადრი აღარ იცის; ბატონებთან თრევით ხელში რას დაიჭერს.

— ეეე, სოფელი განიერია, დარჩება; მიდგომ-მოდგომა უნდა.

ასე სჯიდნენ მეზობლები დემეტრეზე.

ვათ ამ გვარებში. ესენი არიან სოფლის სკოლის მასწავლებელნი და სოფლის ინტელიგენცია. ამათ შევავედრებთ ამ მძიმე საქმეს და იმედია არ დაიზარებენ ქვეყანას სამსახური გაუწიონ, ხალხს მიეშველონ თავისის ცოდნითა, თავისის სიტყვითა, რომ ვენახების ჭირთან ბრძოლისათვის ხალხის სულიერი და ნივთიერი ღონე გამოიწვიონ. აგი ვამბობთ, ეს ქვეყნის წინაშეა სამსახური და ამით ინუგეშონ ყველამ, ვინც ამ საქმეში თავისს გარჯასა და შრომას არ დაჰზოგავს. ამ ყმაწვილ კაცობისათვის დიდი არაფერია ყოველივე ვითარება ვენახების წამლობისა ზედ-მიწევნით შეისწავლონ და თავისი ცოდნა ქვეყანას მოახმარონ.

რა თქმა უნდა, ცარიელი სურვილი და ხალისი ბევრს არაფერს გვიშველის. სურვილი და ხალისი მაშინ არის კარგი, როცა გზაც წინადვე გარკვეულია სურვილის განხორციელებისათვის და ხალისის საქმეში ჩაყენებისათვის. ჩვენში დიდძალი იმისთანა ვენახის პატრონები არიან, რომელთაც დიდი სურვილი და ხალისიც რომ ჰქონდეს, ერთიცა და მეორეც შეუძლებლობის გამო გულში უქმად უნდა დარჩეთ. დიდ-ძალს ჩვენგანს ცალკედ გარჯისათვის ვერც ხელი გაუწვდება, ვერც ჯიბე. ხოლო რაც შესაძლებელი არ არის ცალკე კაცისათვის, ის ადვილად საქმნელია ხუთისა და ათისათვის, თუ შეერთდებიან და ერთმანეთობას გასწევენ. ამისათვის საჭიროა, რომ ვისაც ცალკე ბრძოლა არ შეუძლიან ნაცრისა და მილდიუსაგან ვენახის გადარჩენისათვის, სხვაც მოიამხანაგოს, მოიშველიოს და ერთიანის ღონით შეეჭიდნენ ამ ვენახების ჭირსა. აი ამისთანა ამხანაგობანი, ხუთ-ხუთის, თუ ათ-ათის კაცისაგან შემდგარნი, თვითვეულნი თავ-თავის ადგილას დიდს საქმეს იქმონენ.

ამისთანა გუნდების შედგენას უნდა შეეცადნენ ყველანი, ვისაც ხალხის შველა და სამსახური უნდა ამ საქმეში. ადგილის გურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო, ტყუილად-კი არ არის ნათქვამი. როგორც ადგილის კაცი გაუძღვება ამ გვარს საქმეს, ისე სხვა ვერავინ. რა-კი ადგილის კაცთაგან ამისთანა გუნდები, თუ ამხანაგობა შესდგება, მაშინ ადვილად გამოარკვევენ საიდამ რა მოევლება და ეწამლება ამ ვენახების ჭირს, კავშირს გააბმენ სამეურნეო საზოგადოებასთან, რაშიაც საჭიროა მოიშველიებენ ამ საზოგადოებას, რაც იციან, საერთოდ გამოიყენებენ, რაც არ იციან, სხვისაგან ისწავლიან, სხვას გამოჰკითხვენ, მიდგებიან—მოდგებიან, ურთიერთის ღონით გაღონიერდებიან და ისე შეეჭიდებიან საქმეს, რომელიც ცოდნითა, გარჯითა, მხნეობით და ერთიანის ძალით ადვილად საძლევია.

კიდევ ვიტყვით, იმედი გვაქვს ჩვენის სოფლის სკოლების მასწავლებლებისა და სოფლის განათლებულ ყმაწვილ-კაცობისა, რომ ამ საქვეყნო საქმეს გულ-მხურვალედ ხელს ჩასჭიდებენ და ადგილის ღონეს, სულიერს თუ ნივთიერს, გამოიწვევენ ვენახების ჭირის საძლეველად.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის საბჭოს ხმოსანი ბ-ნი იზმიროვი საბჭოს კრებიდამ დაბრუნებულა თუ არა შინ გუშინ-წინ, უეცრად გადაცვლილა.

*** თავად-აზნაურთა საგანგებო კრებას გუშინ-წინ, 28 ნოემბერს, მიუღია ის ადრესი, რომელიც ხელმწიფე იმპერატორს უნდა მიერთვას თავად-აზნაურობის სახელით.

*** წმ. გიორგის კავალერების დღესასწაულის გამო ხელმწიფე იმპერატორს კავკასიის მთავარ-მართებელმა მილოცვის დეპეშა გაუგზავნა. პასუხად ხელმწიფე იმპერატორსა და იმპერატრიცას მოუწერიათ მთავარ-მართებლისათვის, რომ გულითა და სულითა ემადლობთ გიორგის კავალერებს ამ დიდებულის დღესასწაულის მოლოცვისათვისაო. დიდის სიამოვნებით ვიგონებთ ჩვენს საოცარსა და საკვირველს მოგზაურობას კავკასიაში და კიდევ და კიდევ გმადლობთ გულითაო.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოება შემდევს კრებაზე განიხილავს განსაკუთრებით ტფილისში გამოფენის გამართვის საქმეს. ეს კრება დანიშნულია 8 დეკემბრისთვის.

*** დღეს ანდრია პირველ-წოდებულის დღესასწაულია. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეგზარხოსი პალადი სწირავს სემინარიის ეკკლესიაში, რომელიც ანდრია პირველ-წოდებულის სახელზეა ნაკურთხი. ამ დღესვე არის ხოლმე წლიური კრება სემინარიასთან დაარსებულის „ძმობის წევრთა“. ძმობას, როგორც ვიცით, საგნად აქვს დახმარება სემინარიის შეუძლებელ მოსწავლეთა.

*** 28 ნოემბერს უკანასკნელი კონცერტი ჰქონდა მომღერალს ქალს ალისა ბარბის. რადგან პირველ კონცერტზე დიდად [illegible] სიამოვნება საზოგადოებამ ამ ქალ[illegible] სიმღერით [illegible] უკანასკნელმა კონცერტმა საკმაოდ ბევრი მსმენელი მიიზიდა, ასე რომ თეატრში ცარიელი ადგილი ცოტა-ღა იყო. ლოჟები თითქმის სულ დაჭერილი იყო. ქ-ნმა ალისა ბარბიმ გაამართლა მოლოდინი საზოგადოებისა: ტაშის კვრასა და „ბისის“ ძახილს ბოლო აღარა ჰქონდა. ახალგაზდა მომღერალიც იმდენად თავაზიანი და ხათრიანი გამოდგა, რომ საზოგადოების თხოვნას ასრულებდა და მღერადა ყოველს გამოწვევაზე, მანამ კარგა ლაზათიანად არ დაღალეს. ტფილისის საზოგადოებას ძალიან უყვარს კაი სიმღერა და ძნელია იმისი საქმე, ვინც შეაყვარებს და მოაწონებს თავს თავისის ხმითა და სიმღერით. ბ-ნს ფელდაუსაც მოუწონეს ფორტოპიანოს დაკვრა და რამდენჯერმე გამოიწვიეს. კარგი იქნებოდა, რომ ეს კონცერტი უკანასკნელი არა ყოფილიყო და ქ-ნი ალისა ბარბი კვლავ ენახა ჩვენს საზოგადოებას და მოესმინა მისი ჩინებული სიმღერა. მეტადრე გერმანელები იყვნენ აღტა[illegible]ებულნი თავიანთის სამშობლო სიმღერებით.

*** ბათუმიდამ შემდეგი ამბავი მოგვივიდა: ერთი რუსის აფიცერი (მინაევი) სპარსეთის საზღვარზე მსახურებდა. ამ კაცს შეუკრებია ერთი გროვა საუცხოვო ძველის ფულებისა. მე თითონ ვნახე ეს ფულები. ჩემის აზრით, ბევრს ამ ფულში დიდი საარხეოლოგიო და სანუმიზმატო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ზოგიერთს ფულზე რაღაც ლურსმებრივი წარწერებია, ზოგზე სულ სახატები სხვა-და-სხვა ცხოველებისა. როგორც მითხრა იმ კაცმა, ქართული ფულებიც ურევია თურმე იმ ძვირფასს კოლექციაში. ეს კაცი თანახმაა გაასინჯოს ძველი ფულები ჩვენს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“, [illegible], თუ საჭირო იქმნება, ფასით მიჰყიდის კიდეც.

*** იქიდამვე: ბათუმის საბჭოს სთხოვს როტშილდის წარმომადგენელი, რომ ნება მიეცეს ორი სანავთო მილი გაიყვანოს ნავთის რეზერვუარებიდგან, რითაც პირდაპირ ჩაასხმენ ნავთს ახალ ასავსებ გემებში. ამ ამბავმა თავ-ზარი დასცა აქაურს წვრილმან მუშა ხალხს, რომელთაც მართლა რომ ლუკმა პური გაუწყდებათ, თუ მილები გაიყვანეს. საზოგადოდ დიდს საქმეებს ჰკიდებს ხელს როტშილდი, ეს მართლა რომ ახალი არგონავთოსი ჩვენის სამშობლოსი.

შეცდომის გასწორება: გუშინდელს მე-251 №-ში ბ-ნ ანტონ ფურცელაძის წერილში რედაქციის მიმართ, მერვე და მეცხრე სტრიქონში, შეცდომით არის დაბეჭდილი: დაწამებაებით ა მ ც ნ ო ნ; უნდა იყოს დაწამებაებით ა ა მ ო ნ.

### წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო კობიანთ-კარის მღვდელს სვიმონ ხატის-კაცს, რომელმაც შემოსწირა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლას ერთი თუმანი და სამი მანეთი სკოლის ეკკლესიის სასარგებლოდ,— სულ 13 მანეთი.

სკოლის მმართველი ერ. ნაკაშიძე

## უცხოეთი

გერმანია. პოლიტიკაში ამ ჟამად, ცოტა არ არის, ფაცი-ფუცია. ეტყობა, დიპლომატები რაღასაც ამზადებენ, რაღაცა სწადიანთ, რაღასაც სთხრიან და დიდად საშიშია, რომ არა გამოსთხარონ-რა. ამ ჟამად, მაგალითად, ბევრსა ლაპარაკობენ და ცხარობენ გაზეთები იმის გამო, რომ გერმანიისა და ავსტრი-ვენგრიის კავშირს, ზავს ნისლი მოჰხვევია, მოღრუბლულა.

---

ცოლი რომ შეირთო, მაშინ-კი ჩავარდა დემეტრე საგონებელში; იფიქრა, იწვრილა და ისევ ქალაქ ადგილს მოატანა; დაიჭირა ერთი უხეირო ფიცრის დუქანი და ფინაჩობა დაიწყო. მოჰქონდათ ძველი ჯღანები და დემეტრე, როგორც იყო, აკონკებდა და თითო-ოროლა გროშს რჩებოდა. თანდათან გაიკვეთა ხარაზობა და კერვაში გაიმართა. მალე გაითქვა კაი კაცობის სახელი აქაც. ფინაჩობით რას გახდებოდა, მოისურვა ცოტა მოემატებინა რამე შეშუდი დუქნისათვის, მაგრამ იმდენი ღონეც არა ჰქონდა. როგორც იყო იშოვნა ვალად ყაზარა მიკირტუმოვისაგან ხუთი თუმანი ფული. მაგრამ რაც მოიტანა, ისიც სულ ყაზარას სარგებელსა და „ნეუსტოიკებს“ უნდებოდა; ჩაიფლო ლაფში და ველარ ამოვიდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მხნეობას უმატა; ძველებურს კოხტაობასა და ქეიფს თავი დაანება; ცოლიც ძალიან მხნე და გამრჯელი გამოადგა. ცოლშვილიც ჩამოიყვანა, გარეთუბანში ერთ-ოთახიანი სახლი დაიჭირა და იქ დაბინავდა. ნენე ორს დიდს უბანს ქალაქისას უცხობდა პურსა და ურეცხავდა სარეცხს; ხელი და პირი აღარ ერჩოდა საწყალს ჯაფისაგან. ქმარზედ მეტი იმას შემოჰქონდა სახლში; ქმარი დუქნიდამ ბინდისას მოდიოდა შინ; ცოლი-კი კარგა დახშირბინდებისასა. ხან ორი დღეც გაივლიდა, რომ დემეტრე თავისის ფინაჩობით ერთს შავს გროშსაც ვერ იშოვნიდა ხოლმე; დაღალულ-დაწყვეტილი, თვალებ ამოღამებული, მშიერის მუცლით მოვიდოდა თავისს საწყალს ქოხში და აქ არ შეიძლებოდა, რომ ცოლს თბილი პური არ დაეხვედრებინა.

— სული შემიწუხა, სული, მაგ ღვთის-რისხვა ყაზარამა, სთქვა ერთხელ დაღონებულმა ნა და შეწუხებულმა დემეტრემ: ცარიელი სული-ღა მაქვს და ლამის ისიც ამომხადოს. ახლა „ლისტი“ აუღია და რაც მაბადია სულს აქეთ, იმასაც წამართმევენ. ბევრჯელ მამივა აზრად, რომ ავიღო და ეს ქამარი მივცე და მოვიშორო თავიდამ. მაგრამ მენანება ეს წყეული, სიყმით მონაგარია; თავივით მიყვარს; ჩემის ცხოვრების იმედიც ეს არის და ჩემი სამარხიცა; როგორ გავშორდე ამას... თუ ცოცხალმა თავი დავახწიე ამ ურჯულო ყაზარას, უნდა ისევ ჩავიქალაქო, თორემ აქ კაცი ვერ გავხდები; ეს ოხერი რა ამოსაწყვეტი ქალაქი ყოფილა. სამი დღეა სადგისი არ ამიღია და ნემსი არ ამომიგდია...

— რაც ქვეყანასა, ის ჩვენა,—ანუგეშა ვითომ ცოლმა.

— რაც ქვეყანასა, ის ჩვენაო?! ნწარა? რაც ქვეყანასა, ის ჩვენ არადა!.. მაშ ურია ყაზარაც ჩვენსავით ცხოვრებს რაღა! ჩემისთანა კაცებისათვის სისხლი გამოუწოვია და გასიებულა! ერთი იმისი ლაპარაკი ნახეთ-და! თითქო მუცლიდამ ლაპარაკობსო. ღმერთო! ერთი იმისი სიტყვა სწორედ ღვთის რისხვაა, ღვთისა! რაღაც უცნაურად ლაპარაკობს: თითქო ყველა იმისი სიტყვა პირიდამ ენის წვერს-კი არ გამოსდევს, თითქო პირდაპირ ჭიპიდამ ბუხბუხით გამოდისო... ვაჰმე! ერთი, ერთი ამ უკანასკნელად იმს სისხლში გამასვრევინა ნეტამც ხელი. ეს უკანასკნელი სიტყვები მთვრალივით წაილუღლუღა; თითქო გულში ჩაიკლა ნადული სულისა; გულის წუხილი ჩააქრო, ჩაჰკლა ძლა-უნებურად, რომ თავისის საცოდავის ცოლისათვის არ ეგრძნობინებინა. სმენა-მახვილმა ნენემ ყური მოჰკრ ქმრის უკანასკნელს სიტყვებს და მსწრაფლ ჩაეკითხა:

— გენაცვა, დემეტრე, რას ამბობ? სისხლიო?.. ნუ, ნუ, შენი ჭირიმე. ალბად ასე გვეწერა ღვთისაგან; რასაც კაცს შუბლზე დააწერს ღმერთი, ის აღარ ამოიშლება... დავრჩებით, როგორც იქნება.

— ჰაი დედას დაიწყო ისევ დემეტრემ გულ-მდუღრად, თითქო ცოლის სიტყვებს ყურადღებაც არ მიაქციაო: ფულსა ა პატივს დაჩვეული ის კაცის ყოფა რა [illegible]ნელია-და!.. ქალაქში ბზესავითა მინდა ფული, აქ-კი ყაზარას ჩაუვარდი ხელში. ვაჰმე!— ჩაიკვნესა დემეტრემ და მიიმტვრ-მოიმტვრია ხელები ერთით ეუბნებოდა გული, წასულიყო ისევ ქალაქში, მაგრამ რომ წარმოიდგენდა ცოლს, ორს შვილს, იღუმღებოდა და სხვე დაეტანჯებოდა ხოლმე. მოსდრიკა გარემოებამ, მოკვდინა დემეტრეს სული და გული. იქნამდის გაუჭირდა, რომ ხანდისხან თავში ელვასავით გაურბენდა უბედური, შემზარავი აზრი: გაეყიდნა ნუსი თავისის საცოდავის ნენესი. მაგრამ წარმოიდგენდა თუ არა ამ საზარლობას, სირცხვილის ცეცხლი მთლად დასწვავდა და ააქრქოლებდა. ეს საზარელი აზრი თვით გულ-უბრყვილო ნენესაც წარმოუდგებოდა ხოლმე.

დემეტრე სიღარიბემ მოსტეხა, უდროოდ მოაბერა; მშვენიერი ვაჟკაცური სახე გაუჭკნა; თვალები ჩაუბნელდა და ჩაეფერფლა; ზამთრობით ცივს დუქანში ჯდომით დაქარიანდა; მუხლები ოთხმოცის წლის ბებერივით დაჰქონდა; ცივს ზამთარში იმისს დუქანს მაყალი ათბობდა, რომელშიაც სულ რამდენიმე ნახშირი ელვია; ხან ერთს ლოყას დაადებდა ზედ გასათბობად, ხან მეორეს და ხან ცხვირის წვერს მიუშვერდა. როცა ნახშირი შემოაკლდებოდა, ჩინჩხვარს, ან ბურბუშელას დაყრიდა მაყალზედ და იმაზედ თბებოდა; ხელები ნაცარში რევით სულ დაეწვა და დაუბებრდა. თუ საქმე რამე გაუჩნდებოდა, სიცივე-ტეხვრაში ათ საათამდის რჩებოდა. თან განუშორებლივ ჰყავდა თავისი ბიჭი-შვილი, რომელიც ზღარბივით მოიკუნტებოდა მაყალთან, მთლად ბუსუს-აშვებული გაბრაზებულ ძაღლივით; ბევრჯელ დასთვლემდა საბრალო ილოს და თავიანფეხებიანად მაყალში ჩავარდებოდა ხოლმე. ტანისამოსის კონკები მთლად გამომწვარი ჰქონდა. როცა სახლში გაგზავნიდა სადილის მოსატანად, ისეთს ეკალს აუშვებდა სიცივით საზეზე, თითქო ზღარბიაო, და ბაბანითა და თათქანით მიჩანჩალებდა გარეთუბნისაკენ. სიმწარისაგან მიჰბზუკუნებდა, ვითომ სიმღერასაც ამბობდა, და მიაჩლატუნებდა მამის შეჯღანილს ჩუსტებს.

ერთს საღამოს ხარაზ დემეტრე ჩვეულებრივზე გვიან მივიდა სახლში. დაგვიანების მიზეზი ის იყო, რომ დღესასწაულების მოახლოვების გამო უწინდებულზედ ბევრი საფინაჩო იშოვნა და, რადგან კვირაძლდებოდა კიდეცა, ამიტომ უთუოდ უნდა მორჩენილიყო, რომ ფულები აელო. გარედ მკაცრი ზამთარი იდგა; ყინვა გაბატონებულიყო, დემეტრეს დუქანში ყოველ მხრივ შემოჰზუზუნებდა მაგარი ქარი. თითქო ის ველარასა ჰგრძნობდა, ისე იყო გართული; ქარი ჩამქრალს მაყალს აბორიალებდა და დემეტრე ნაცრისაგან მთლად შეფერფლილიყო. მუხლებით მაგრა ეჭირა ჩუსტი, კბილებში გასანთლული ძაფი და, რაც-კი შეეძლო, მარდად უტარებდა სადგისს გამხმარს ტყავს. ქარი ღმუის, ზუზუნებს, ქვითინებს, რეკს დემეტრეს დუქნის კარს, თითქო შინ შემოსვლას სთხოვსო. დემეტრეს არ ესმის ქარის კვნესა-ქვითინი, ეძალება საქმეს. მაგრამ ხელის სიმარდემ აკლო, მთელის დღის მუშაობამ და სიცივემ სინსილა გამოაცალა; ხელებმა ურჩობა დაუწყო და სადგისს ველარ ხმარობს; ძილიც ზედ წამოესწრო. მარჯვენა ხელში სადგისი, მეორეში ჯაგრით გამწვეტებული ძაფი, წინ ჩამქრალი მაყალი, რომელშიაც ნელთბილის ნაცრის მეტი აღარა იყო-რა,— ამ სურათს წარმოადგენდა იმ ჟამად

ინგლისური „Morning Post"-ი ამბობს, რომ ეს საგანი დიდად საყურადღებოა დღეს ევროპაშიო. ავსტრი-ვენგრიისა და გერმანიის კავშირზე მეტად ბევრი რამ არის დამოკიდებული, რომ იმისმა ან გაძლიერებამ, ან შესუსტებამ და ან შერყევამ დიდი რამ არა მოახდინოს-რაო. მართალიც არის. დღეს ევროპა ხელში უჭირავს ბისმარკს, იმიტომ-რომ ავსტრი-ვენგრიასთან კავშირი აქვს შეკრული და იტალიის გულიც მოგებული აქვს. თუ ეს სამთა კავშირი ან შესუსტდა, ან შეირყა, მაშინ შესაძლოა სულ სხვა სიომ დაჰბეროს და, ვინ იცის, იქნება ის სიო დიდ ქარტეხილადაც გადაიქცეს. თითონ ავსტრიის მინისტრი ტააფე-კი, რასაკვირველია, ერთგულია და დიდი მომხრეც კავშირისა, მაგრამ გარშემო ახვევიან ცოტა სხვა გვარი ხალხიო, ამბობს ზემოხსენებულივე გაზეთი, და სწორედ იმ ხალხს უნდა უფრთხოდეს ტააფე, თორემ შეიძლება კისერზე გადიგდონ და მერე თავადვე იქმნება იძულებული გაასწოროს იმათგან წახდენილი საქმეო.

საქმე იმაშია, რომ ტააფე ამტკიცებს: კავშირი მტკიცედ უნდა იქმნას დაცული, პირობა ჩვენსა და გერმანიას შორის მით უმეტესადაო, მაგრამ საშინაო საქმეებში ჩვენ შეგვიძლიან ჩვენებურად მოვიქცეთ და სრულიადაც არ მივიღოთ სახეში გერმანელების სურვილი და მოწონება, ან დაწუნებაო. გერმანელები-კი ამბობენ: ვერა, ვერა, მაგაზე ვერ დაგთანხმდებით. ის საშინაო პოლიტიკა, რომელიც ამცირებს გერმანელების გავლენას ავსტრი-ვენგრიაში და აძლიერებს იმის საწინააღმდეგო დასების გავლენასა, არ გამოდგება და არც ეშესაბამება ჩვენ შორის დადებულს ხელშეკრულობასაო. ასეა დღეს საქმე და ვნახოთ ამ გაჭირებიდამ როგორ გამოვა ან ტააფე, ან ბისმარკი.

— მიუნხენში 3 დეკემბერს დიდის ამბით გარდაუხდიათ 70 წლის იუბილეი ჰიგიენის დამაარსებელის მაქს პეტენკოფერისა. არამც თუ გერმანიის სხვა-და-სხვა მხრიდამ მისულია სწავლულს მილოცვა, არამედ მთელის ევროპის სხვა-და-სხვა კუთხიდამ მიულოცნიათ იუბილიარისათვის 70 წლის იუბილეი, როგორც სწავლულებს, ისე უნივერსიტეტებსაცა და სამეცნიერო დაწესებულებათაცა.

— 18 ნოემბერს ბერლინში ერთს დიდს ქუჩაზე, დიდს დარბაზში, დიდი კრება ყოფილა სოციალისტებისა. ამ კრებაზე ულაპარაკნია სოციალისტების მოთავეს ზინგერს, რომელიც ბერლინიდამ განდევნილია და, როგორც დეპუტატს, მხოლოდ მაშინ აქვს ნება ბერლინში ყოფნისა, როცა პარლამენტი მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში დეპუტატი ხელ-შეუხებელია.

**ავსტრი-ვენგრია.** ინგლისის გაზეთები მოგვითხრობენ, ვინ არის თავადი ტააფე. ტააფე ირლანდიელია ტომითაო. წინად გრაფობა ჰქონდა და ეხლა თავადობა ებოძაო.

„Pester Lloyd"-ი, დიდი და გავლენიანი გაზეთი ვენგრიისა, ასეთის წყრომით ეკამათება ბისმარკის გაზეთს: „ავსტრი-ვენგრიისა და გერმანიის კავშირისაგან იმდენივე სარგებლობა აქვს გერმანიას, რამდენიც ჩვენა. ამიტომ გულის-წყრომა ვერ გაგვინელებია, როცა გვესმის ზოგიერთის გაზეთების ლაპარაკი, რომ ვითომ ეს კავშირი რაიმე დიდი წყალობა იყოს ჰაბსბურგების ძველის-ძველ მონარქიისათვის გერმანიისაგან და რომ ვითომ ეს მონარხია სიმშილით მოკვდებოდა, ეს წყალობა რომ არ ეძლეოდეს ნორჩის სახელმწიფოს უხვებისაგან. იმისთანად არა შეარყევს-რა ამ კავშირს, როგორც აზრი ზოგიერთებისა, რომ ვითომ ჩვენ გერმანიის მოწყალებითა ვცოცხლობთ და რომ უთუოდ დავიღუპებით, უკეთუ იმ დიდმა გერმანიამ თავისი მოწყალე პირი აგვარიდა".

**იტალია.** გაზეთებში დაბეჭდილია, რომ იტალიის მთავრობა თითქმის 100 მილიონ ლირს ითხოვს სამხედრო სამზადისისათვისაო სამერმისოდ. ეს ამბავი ძალიან აწუხებს იტალიის სხვა-და-სხვა დასებს და თვით ფინანსთა მინისტრმაც არ იცის, როგორ აიცილოს თავიდამ მეტის-მეტი საფინანსო გაჭირება, რომელიც აუცილებელი შედეგია დიდ-ძალის ხარჯებისა ფლოტისა და მხედრობის გასაძლიერებლად. გაზეთები ბევრს ურჩევენ მთავრობას, რომ დაანებოს თავი საომარს სამზადისებსა და ერის კეთილდღეობას მიაქციოს ყურადღება, მაგრამ კრისპის კაბინეტის უმრავლესობა დიდად გატაცებულია ბისმარკის პოლიტიკითა და ამჯობინებს, რომ ისევ ერი მოიმდუროს, ვიდრე თავისს მოკავშირე სახელმწიფოებს აწყენინოს რამე.

**ინგლისი.** სალისბერიმ სხვათა შორის ისიცა სთქვა ედინბურგში, რომ ირლანდიის განცალკევება დიდად საშიში და სახიფათო იქმნება ინგლისის დამოუკიდებლობისათვისაო. საშიში და საფათერაკო იქმნება იმ მხრითა, რომ ამ კუნძულს მშვენიერი ნავთ-საყუდლები აქვს და, თუ ვინიცობაა მტერი გამოუჩნდა ჩვენს ქვეყანას, ამ ნავთ-საყუდლებს ადვილად გამოიყენებს ჩვენდა დასარბევადაო. ჯერ ისევ ნაპოლეონივე იძახდა, რომ ანტვერპენი ინგლისის გასაღებია, დამბაჩაა, შიგ ტემზის შესართავისთვის დამიზნებულიო. ირლანდია რომ განცალკევებული იყოს, მაშინ ხომ ერთის ანტვერპენის მაგიერ ათი და ოცი გაჩნდება? ვსთქვათ, რომ ირლანდია ვერას გაჰბედავს მარტო და არას ჩაიდენს ისეთს, რომ დიდსა და ძლიერს ინგლისს აწყენინოს, მაგრამ ყველაფერი მოსალოდნელია. შეიძლება ინგლისი დასუსტდეს, შეიძლება დიდი ომი გამოუტყვრეს სადმე. მაშინ რას იზამს ინგლისი? წარმოიდგინეთ, რომ ჩვენთან მებრძოლედ რომელიმე ძრიელი სახელმწიფოა. ხომ უცბად ჩაიგდებს ეს მტერი ხელში ირლანდიის ნავთსაყუდლებს, იმის ერს, რომელსაც დიდი ხანია ვსძულვართ, იმის მთავრობას, რომელიც ჩვენი მეტოქე იქნება. მაშინ ჩვენ დასავლეთისაკენაც ბრძოლა მოგვინდება, აღმოსავლეთისაკენაც და განსაცდელი ამის გამო ერთი ორად იმატებს.

აი ესა მქონდა სათქმელი ჰომრულის მომხრეებისათვის. ახლა ვკითხავ მე იმათ, რითი გვითავდებებენ, რომ ირლანდია სწორედ ისე ძმურად მოგვექცევა გაჭირებაში, როგორც ჰგონიათ? რასაკვირველია, რომ სალისბერის სიტყვას უპასუხოდ არ დასტოვებენ ლიბერალები და ნათლად გაარკვევენ მართლა ძნელსა და რთულს საგანს ირლანდიის განცალკევებისასა და ჰომრულისას.

— ინგლისელები ძალიან ემადლიერებიან თავიანთს კონსულებს, ელჩებსა და დესპანებს, რომელნიც აზიაში ჰყავთ დაგზავნილები სხვა-და-სხვა ცნობათა შესაკრებად. იმათგან იმდენი მასალა მოდის, იმდენი ცნობა და სასტატისტიკო ციფრები, რომ მთელი დაწესებულება უნდება და კიდევ ვერ ასწრობს ამ აუარებელის მასალის რიგში მოყვანასაო. უფრო ემადლიერებიან სპარსეთის ელჩს სერ დრუმონდ ვოლფს. სულ ცოტა ხანია, რაც ეს ნიჭიერი დიპლომატი სპარსეთშიაო, მაგრამ ამ მოკლე ხანში იმდენი ცნობანი შეჰკრიბა, ისე შეისწავლა იქაურობა და გაგვაცნო ჩვენც სპარსეთი, რომ დღესვე შეგვიძლიან ვიტვირთოთ ამ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, ისე რომ ერთი სადავიდარაბო საგანიც არა მოხდესრა, თუნდა სპარსელთაგან ერთი მინისტრიც არა გვყავდესო. ეს კიდევ ცოტაა: ამ ცნობათა წყალობით შეგვიძლიან ლონდონიდამ მივიწეროთ, რა როგორ გარიგდეს, განწესდეს და წარიმართოსო და ამ შემთხვევაშიაც იოტისოდენა შეცდომაც არ მოგვივიდესო. ძრიელ არის თურმე ინგლისელთაგან შესწავლილი ამ ბოლოს დროს: სპარსეთი, ავღანისტანი, ბელუჯისტანი და ზოგიერთი სხვა ქვეყნები კიდევ. დიდი ღვაწლი ამ მხრივ უფრო სერ დრუმონდ ვოლფს მიუძღვის და ამიტომ სალისბერის განუზრახავს მხნე, შორს-გამჭვრეტელი და მოხერხებული დიპლომატი მეფურად დაასაჩუქროს და ლორდობაც აბოძებინოსო.

**სერბია.** სერბიასაც კონსტიტუცია აქვს და საპარლამენტო ცხოვრებითა სცხოვრებს! ამ ქვეყანაში, რაკი პატარაა, ყველა სცდილობს ხელი მოითბოს და თავისს სასარგებლოდ გადაჰხაროს სასწორი არჩევანებისა. მეფე მილანმა დანიშნა არჩევანები და ბრძანებაც გასცა, რომ არჩევანები თავისუფალი იქმნებაო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მთავრობა ძალიან ჩარეულა არჩევნების საქმეში. იმასაც ამბობენ, რომ რადიკალები უფრო ბევრნი აურჩევიათო. არ ვიცით, ეს უწყენია მეფესა თუ მთავრობის გარევა არჩევანებში და უბრძანებია კი, რომ დღევანდელი არჩევანები ნამდვილი არჩევანები არ არისო, გაუუქმებია იგინი და სხვა დაუნიშნავს.

---

დემეტრეს ყოფა. ხანდისხან წასთქვლემდა, აქნევდა, აქნევდა თავსა, ძილი თავისას გაიტანდა, დასძლევდა თავი და ხელებსა და ცხვირპირს ერთად ჩაჰყობდა მაყალში. გამოერკვეოდა, თავს შეიმაგრებდა და კვალად მიმართავდა სადგისს; ისევ თავის ქინდვრა, ისევ მაყალში წავარდნა. ბოლოს დემეტრემ თვალის ქუთუთო დაავო სადგისზე, ემწვავა და პატარა სკამიდამ უკან გადავარდა. სიმწარისაგან ლაპა-ლუპით წამოუვიდა ცრემლები; სისხლმა ცხლად ჩაუარა ლოყაზე, სიცივემ მსწრაფლ ნიკაპთან შეაჩერა და დაკონწიალდა. სწორედ ამ დროს ხვნეშით შემოვიდა დიდის ჯოხით, უცნაურის ღიპით ყაზარა; თან მოჰყვა გასალახანებული ვექილი, რომელიც გაკრეჭილს კვიცს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანი შვილსა. ორი სულთამხუთავი თავს წაადგა შეწუხებულს კაცს.

— რა ვქნა, დემეტრეჯან, ძმაო, მე მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან. ეხლა გიცხადებ, რომ ხვალ დილით მოვალ და, რაც რამე გაქვს, აგიწერავ, მოდი და ამ პატიოსანის კაცის თანადასწრებით მომირიგდი. ზოგი ეხლა იყვეს, ზოგი მერე. თავნი სულ ხუთი თუმანი არ იყო? ორ თუმნად მაგ ქამარს ავილებ და სხვა დარჩეს; რა ვქნა, შეგაძლებინებ. ჩემის შვილების მზემ, შენის ხათრითა და საცოდაობით ორ თუმნად ვილებ, თორემ რად მინდა, მე ფული მამიცია, ფული მინდა.

— რაო, ყაზარ, ავაზაკობაც დაიწყე? ღამე მოდიხართ და თავს მესხმით? რაო, გამქცევი ვარ? ჩემგან ხუთი თუმანი ვერ აინაზღაურე? რა გინდა? სულიც გინდა ამამართვა? ჰა, მოდი, უბრძანე მაგ შენს ანგელოზს რაღა, ეს საწყალი სულიც ამომხადოს.

— შენ როგორ აურზაურს ლაპარაკობ, კანონია და სამართალი; კანონსა და სამართალს მიუცია, უნდა გადაიხადო. აბა, ვნახავთ, ხვალ შემოგსხნით თუ არა მაგ ქამარს!..

— მე თქვენ ვერ შემაშინებთ მუქარით,—უთხრა გულ-მაგრად დემეტრემ, რომელიც ცალს ხელს თვალზე იფარებდა წამის-წამ.—უსიკვდილოდ ქამარს ვერავინ შემხსნის. დამანებეთ თავი, აი კაცს თვალი გამოუთხრია, მინდა შინ წავიდე; ხვალ რაც გინდა ჰქენით.

— მეორე თვალსაც მოგთხრი და ისე გადაგახდევინებ; განა მე რიყეზე ამიკრეფნია ფულები?

— ყაზარ, სისხლს ნუ მაძლევ!..

გულ-ქვა ყაზარა თავს არ ანებებდა, ელოდა მოლბება და მომირიგდებაო. ჩამოვარდა სიჩუმე. დემეტრეს ცეცხლი მოეკიდა; ძველებურად აუდუღდა გული, მოიკრიბა ძალა სულისა, გაშალა მკლავი და კოლოტივით გააგორა ყაზარა დუქნის კარებთან. როცა გაკრეჭილი ადვოკატი წასწვდა, მაშინ დემეტრემ იძრო წელიდამ ქამარი, გადიხვია ხელზედ და ისეთის ძალით დაარტყა, რომ იკადრა სინიდისით მოვაჭრემ კარზედ გაზძანება. ყაზარა მუქარითა და ბუზღუნით წავიდა; დემეტრემ დუქანი აუგდო საჩქაროდ და აღელვებული წამოვიდა სახლისკენ.

დემეტრეს ცოლი ნენე ქმრის ფიქრში იყო. ფიქრობდა, ერთი კვირა, აგერ სახლში აღარა შემომიტანია-რა ერთი თბილი პურიც-კი ვერ მივაწოდე ჩემს ქმარ-შვილსა. ოთხი დღეალი მყავს. ხვალ ერთს ილუას გავატან, გაუყიდი, რომ ერთი პარკი ნახშირი ეყიდო იმ საცოდავს კაცსაო. ამ დროს კვნესით კარი დაუკაკუნა კაცმაც. დემეტრე ერთობ შეწუხებული და აღეწილი იყო; თვალი ისე არ აწუხებდა, როგორც სულთამხუთავი ყაზარა და მისი ანგელოზი, რომელნიც ხვალ მოვლენ და აიკლებენ ცოლიან-შვილიანად. შემოდგა თუ არა ფეხი, დემეტრე მაშინვე ტახტზე მიეგდო. საწყალი ნენე აქეთ ეცა, იქით ეცა, დატრიალდა ქოხში, ვითომ რაიმე ღონე უნდა ეღონა ქმრისთვის, მაგრამ საითაც-კი მიდგა, ხელ-ცარიელი დარჩა; გამწარებული დაბოტიალებდა, მაგრამ ამაოდ, ხელს არა ხვდებოდარა; ბოლოს წაიძრო თავიდამ თავშალი და თვალი აუხვია.

გოგო-ბიჭი ტახტზე დაყრილიყვნენ, ძაღლის ლეკვებსავით ყელი-ყელს გადაეჭდნათ, ძალზედ ჩახუტულიყვნენ და კატებივით ხრუტუნებდნენ; დემეტრე ბავშვების ფეხთით იყო წამობარკლული; ნენე ჩაჯდა ლუმელთან, შეუკეთა ბურბუშელა და შეუბერა. ბუხრის რაფაზე იდგა პატარა ლამპარი, რომლის შუშა რკინის ლუმელის კომლისაგან გაყვითლებულიყო; ოდნავ ბჟუტავდა, ძალა არა ჰქონდა იმისს შუქსა და თითქო თანაუგრძნობდა პატრონების ყოფა-ცხოვრებას. ნენეს ჰყავნდა სახლში დედა-კატუნა, რომელიც სულ კაბის ბოლოზედ ეკონწიალა; ადგებოდა და კატაც აბრასავით თან აჰყვებოდა; ნენე გადაათახლეშდა ძირსა და მწარედ ეტყოდა:

— შე გულ-მკვდარო, რაღა შენ მანდიხარ გულ-გაწრიოკებულს ადამიანს.

ლუმელთან მჯდომის დროს ნენემ ორივე ხელებით თავი დაიჭირა და მწარე ფიქრებს მიეცა; როგორ მოაგვაროს ისე ცხოვრება, რომ შიმშილის გამო სამარცხვინო ყოფაში არ ჩაცვივდნენ. ბავშვები პატარები ჰყავს; ამისი კაცი ასე ჯან-მოკლედ შეიქმნა. უნდა ისევ თითონ დადგეს მოჯამაგირედ? ყმაწვილი ქალია; შრომა და ჯაფის ატანა შეუძლიან; ქმარიც თითო-ოროლა გროშს იშოვნის; მაშინ უკეთ წავა საქმე; მერე შვილებიც მოესწრებიან, იმის ილოთ ხელობას დაადგება; საქმე გასწორდება.

მწარე ფიქრები ნენეს ტკბილ ოცნებად გადაექცა; ერთს წამს ყველაფერი იგემა; სახე გაუნათდა, გაუბრწყინდა, ბინდი გადეყარა, სიამოვნების ნიშნად მხრები აიწია, თავის დედა-კატუნასავით აიფხორა და სიამოვნებით მიაველო-მოაველო სახლს თვალი; მიმოავლო თვალი საცოდავად მიყრილს ქმარ-შვილს და ოცნებანი ჩაეფუშა. ამას ზედ მოჰყვა ქმრის სიტყვები:

— ხვალ ჩვენი სულთამხუთავი მოვა; ამ საღამოს იყო დუქანში ყაზარა და ქამარი მთხოვა, ორ თუმნად ავილებ, დანარჩენს დაგაცლიო; მე გავბრაზდი, სისხლი ამიდუღდა, კარგა გავტყიპე და ისე გავგზავნე თავისის ანგელოზით; ეს მაინც გამყვეს სიკვდილის დროს სანუგეშებლად.

ნენემ წელი ვეღარ აიტანა.

— მაშ რა ვქნათ?—ჩაეკითხა საცოდავად ცოლი.

— მაშ რა ვქნათ? რას შვრება ცხვარი, ყასაბი რომ ყელში დანას დააბჯენს ხოლმე,—უთხრა ცხოვრებისაგან გამოცდილმა და გათელილმა ქმარმა.

— მაშ უნდა დაგვარჩოს, სულებიც ამოგვართვას?

— უნდა მეთქი, ადამიანო! მაშ რითი იხსნი თავს ყაზარასაგან?

—

ამ ამბის შემდეგ დემეტრემ დიდხანს ვეღარ იცოცხლა. როცა მოკვდა, იმ დილით სასამართლოს ბოქამომსამსახურემ ორი უწყება მოიტანა დემეტრეს სახლში: ყაზარა და იმისი „ანგელოზი" უჩიოდნენ მოქმედებით შეურაცხყოფისათვის. უწყების დარღვევისა ჰქონდა.

ასე გაატარა დემეტრემ დღენი თვისნი ამ ბინდის გვარს სოფელში და ერთს დროს თავ-მომწონე ბიჭს, ქალაქის კინტოს, დღეს გულზედ თეფში დაადგეს და ისე მიაბარეს მიწას.

ს. მგალობლიშვილი

(შემდეგი იქნება)

## წვრილი ამბები

გზათა სამინისტროს უნდა შემოიღოს მეოთხე კლასის ვაგონები მუშა ხალხისათვის, რომელიც რკინის გზის სიძვირის გამო ხშირად იძულებულია ფეხით იაროს ლიანდაგის გაყოლებაზე. მეოთხე კლასში ფასი იქნება 3/4 კაპეიკის თითო ვერსზე და არა 1 1/4 კაპ., როგორც ეხლაა მესამე კლასში.

— ბულანჟეს ქალიშვილი ამ ჟამად ქმრითურთ ქორწინების შემდეგ დამოგზაურობს სამხრეთ საფრანგეთში. რომელსაც ქალაქში იგი უცვნია ერთს პარიჟელს, რომელიც შემთხვევით ყოფილა იქა რაღაც საქმეებისათვის, და შეუტყობინებია სხვებისათვისაც. დიდ-ძალს ხალხს მოუყრია თავი იმ სასტუმროს წინ, სადაც ბულანჟეს ქალიშვილი ყოფილა ჩამომხდარი ქმრითურთ, რათა ერთის ამბითა და დღესასწაულით დახვედროდნენ, მაგრამ ახალგაზდა ქალს გაუგია თუ არა განზრახვა თავ-მოყრილთა, მეორე კარებიდგან გაპარულა და სხვა ქალაქში გამგზავრებულა.

— ვიღაც ხარაზს რომში, დიდს მოყვარულს სადეპეშო ამბებისას, უყიდნია ერთის მეგაზეთესაგან გაზეთი; მეგაზეთეს დაურწმუნებია, რომ ამ გაზეთში მშვენიერი ამბებია დაბეჭდილი აფრიკიდგანაო. როცა დაუნახავს ხარაზს, რომ გაზეთში არავითარიმე ამბები არა ყოფილა, ძალიან გამწყრალა და მეგაზეთესათვის დანა დაურტყავს.

— პეტერბურგში მისულა ამას წინად „რწყილების ცირკის“ წარმომადგენელი. ამ ცირკის არტისტები მოყვანილები არიან აფრიკიდგანა და აზიიდგან, მათ შორის ევროპიელი რწყილი არც ერთი არ არის. პეტერბურგში ხშირად ჭყოლიათ თურმე რამდენიმე გაწვრთვნილი რწყილი, ხოლო რწყილების ცირკი ჯერ-კი არავის უნახავს.

— პარიჟელი კორრესპონდენტი „Daily News“-ისა, როცა ამბობს, რომ ბულანჟე სცდილობს თავი დაანებოს თავისს ცოლსა და განქორწინოსო, თან უმატებს: ამბობენ, რომ ერთს ყველაზედ მეტად მდიდარსა და შეძლებულს ქვრივს საფრანგეთში დიდი ხანია სურს რამე მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკაში და ეხლა მზად არის თავისი მილიონები ბულანჟეს მისცეს, თუ იგი თანახმა გახდება და შეირთავს ამ ქვრივსაო.

## დეპეშა

28 ნოემბერი

**პეტერბურგი.** როგორც ისმის, ზღვათა სამინისტროს გამგებლად დაინიშნა ჩიხაჩოვი, ხოლო იმის ადგილას კონტრ-ადმირალი კოპიტოვი.

**სენ-დიე.** გუშინ კრებაზე ორს დეპუტატს ბულანჟეს დასისას უსტვინეს და ყვირილი დაუწყეს, როცა სალაპარაკოდ დაემზადნენ; გაჩნდა ჩხუბი და ამ ჩხუბში რამდენიმე კაცი დაიჭრა.

**ნეაპოლი.** გუშინ შეიპყრეს ორი ყმაწვილი კაცი, როცა ისინი ცეცხლს უკიდებდნენ გერმანიის საელჩოს ქვეშ ჩაფლულს ასაფეთქს ყუმბარას.

**სოფია.** სააპელაციო სასამართლომ გადასწყვიტა განთავისუფლებულ იქმნას რიზოვი, თუ 10,000 ფრანკს წარმოადგენს ბეთაო.

29 ნოემბერი

**პეტერბურგი.** ჩიხაჩევის ზღვათა სამინისტროს გამგებლად დანიშვნა უკვე გამოცხადებულ იქმნა ოფიციალურად. ხოლო ზღვათა შტაბის უფროსად დანიშნულია ვიცე-ადმირალი კრემერი.

პეტერბურგის ბირჟა, 25 ნოემბ.

| | მყიდველისა (მან. კ.) | გამყიდველისა (მან. კ.) | გაყიდულისა (მან. კ.) |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 80 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 156 3/4 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 18 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 270 |
| —მეორისა | 241 3/4 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 97 „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | 97 „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 81 „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ნოემბერი 30 დღით არის

**30 დღე ოთხაბათი.** მოციქ. ანდრია პირველ-წოდებულისა. კათოლ. მოციქ. ანდრიასივე. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-9 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—სენატის მიერ გამოიცა უწყება, რომ ამიერ-კავკასიაშიაც იქმნას შემოღებული უმაღლესად დამტკიცებული სამოქალაქო დებულება, 1874 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 7—17, ჩადის 4—31. მთვარე 10 დღისა.

დეკემბერი 31 დღით არის.

**1 დღე ხუთშაბათი.** წინ.-მეტყ. ნაუმისა. კათოლ. წმ. ნატალიასი. სომეხ. წმ. პატრ. კლიმენტისა და პანკრატიასი. მაჰმად. მე-10 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—სამეგრელოში გლეხნი განთავისუფლებულ იქმნენ ყმობისაგან, 1866 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54. ტფილისში მზე ამოდის 7—18, ჩადის 4—31. მთვარე 11 დღისაა.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 1 | 02 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელოგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელოგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 05 | 8 | 07 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

**ქუთაისიდამ** გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წუთზედ.

ტფილისსა და სურამს შუა

| სტანციები | | | | | სტანციები | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ღ ი ს ი თ | | | | | ღ ა მ ი თ | | | |
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | — | — | 50 | ტფილისი | 8 | 24 | — | — |


## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

**მამიდა ასმათი**

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

---

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . მან. კაპ. „ 40
ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . „ 15
ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ზ. გვიცარიძისა . . . . . . . . „ 40
ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . 1 50
II ნაწ. . . . . . . 1 50
ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . „ 15
ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . „ 40
ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . „ 30
მცხეთის ტაძარი, გამოც. დიმ. ბაქრაძისა . . . . . . . „ 25
გენათის მონასტერი, გამოც. ბაქრაძისა . . . . . . „ 25
საიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . 1 „
საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. „ 40
საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . „ 15
გულივერის მოგზაურობა . „ 50
საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . „ 20
ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . „ 50
მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ბაქრაძისა . . . „ 5
ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . „ 50
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . 3 „
სამართლის წიგნი კასტანგ ბეგლარ-მდებელისა (რუსულს ენაზე) . . . . . „ 35
ვაზის ობი. . . . . . . „ 10
მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . „ 30
ლოცვანი, ბაქრაძისა . . „ 30
სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. „ 5

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ.—კ. | 6 თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.


Дов. ценз. Тифлисъ, 29-го Ноября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე